ქართველი მუჰაჯირეგის ფაცაში დასახლეგისა და ადაპტაციის საკითხეგი

ნოდარ შოშიტაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: nodar_shoshitashvili@yahoo.com
ORCID: https://orcid.org/0009-0006-7286-0087
საბა კალანდარიშვილი
კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის მაგისტრი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: sabakalanda@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0003-1815-9810

აბსტრაქტი: წინამდებარე ნაშრომი განიხილავს ქართველი მუჰაჯირების ფაცას (ორდუს პროვინცია, თურქეთი) რეგიონში დასახლების პროცესს, მის ისტორიულ წინაპირობებსა და ადაპტაციის საწყის ეტაპებს. კვლევა ეფუძნება ეთნოგრაფიული საველე მუშაობის შედეგად შეგროვებულ ზეპირ ისტორიებს, მიგრანტთა შთამომავლების კულტურულ მეხსიერებას, ოსმალურ საარქივო მასალებსა და არსებული ისტორიოგრაფიის კრიტიკულ ანალიზს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართველი მუჰაჯირების ფაცაში მოხვედრის გარემოებებს, ოსმალეთის იმპერიის განსახლების პოლიტიკას, ალი ფაშა თავდგირიძის როლს, მიწების განაწილების პროცესსა და ახალ სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის სირთულეებს. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ფაცაში ქართველთა დასახლება ოსმალეთის თავდაპირველი გეგმის შედეგი არ ყოფილა და მნიშვნელოვანწილად შემთხვევითმა გარემოებებმა განაპირობა. ასევე გაანალიზებულია მიგრანტთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთობები, სოციალური დაძაბულობის მიზეზები და მათი გავლენა რეგიონის ეთნოპოლიტიკურ ვითარებაზე. კვლევა ცხადყოფს, რომ კულტურული მეხსიერება მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს იმ ისტორიული მოვლენების რეკონსტრუქციისთვის, რომლებიც წერილობით წყაროებში არასრულად ან საერთოდ არ არის ასახული, და ახალი პერსპექტივით წარმოაჩენს ქართველი მუჰაჯირების განსახლებისა და ინტეგრაციის ისტორიას ცენტრალურ შავიზღვისპირეთში.

საკვანძო სიტყვები: მუჰაჯირობა, ფაცა, ორდუ, მუჰაჯირები, კულტურული მეხსიერება, ზეპირი ისტორია, ოსმალეთის იმპერია, მიგრაცია, ეთნოგრაფია.

***

შესავალი: 1877–1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ დაწყებული მუჰაჯირობა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ მიგრაციულ პროცესს წარმოადგენს. ამ პერიოდში აჭარიდან, განსაკუთრებით კი ჩურუქსუს (დღევანდელი ქობულეთის) რეგიონიდან, ათიათასობით მუსლიმი ქართველი გადასახლდა ოსმალეთის იმპერიაში, სადაც მათ საფუძველი ჩაუყარეს მრავალ ქართულ დასახლებას. მიუხედავად იმისა, რომ მუჰაჯირობის ისტორია არაერთი ქართველი და უცხოელი მკვლევრის ინტერესის საგანია, დღემდე არასაკმარისადაა

შესწავლილი ქართველი მუჰაჯირების განსახლების კონკრეტული პროცესები და მათი ადაპტაცია ცალკეულ რეგიონებში, განსაკუთრებით კი ორდუს პროვინციის ფაცის რაიონში.

ფაცა ქართველი მუჰაჯირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან განსახლების ცენტრად ჩამოყალიბდა. თუმცა, მათი რეგიონში მოხვედრის გარემოებები, დასახლების საწყისი ეტაპები, ოსმალეთის ხელისუფლების განსახლების პოლიტიკა, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობები და ადაპტაციის პროცესები ქართულ ისტორიოგრაფიაში ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი. აღნიშნული საკითხების შესწავლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემოება, რომ წერილობითი წყაროების სიმწირის პირობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიგრანტთა შთამომავლების კულტურულ მეხსიერებასა და ზეპირ ისტორიებს, რომლებიც დღემდე ინახავს ინფორმაციას მათი წინაპრების მიგრაციისა და დასახლების შესახებ.

წინამდებარე სტატიის მიზანია ფაცაში ქართველი მუჰაჯირების დასახლებისა და ადაპტაციის პროცესის ისტორიული რეკონსტრუქცია. კვლევა ეფუძნება ეთნოგრაფიული საველე მუშაობის შედეგად მოპოვებულ ზეპირ ისტორიებს, მუჰაჯირთა შთამომავლების ინტერვიუებს, ოსმალურ საარქივო მასალებს, დიპლომატიურ ანგარიშებსა და თანამედროვე ისტორიოგრაფიის კრიტიკულ ანალიზს. სხვადასხვა ტიპის წყაროთა ურთიერთშედარების საფუძველზე განხილულია ქართველი მუჰაჯირების ფაცაში მოხვედრის გარემოებები, მათი განსახლების პოლიტიკა, სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის პროცესი და ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის დინამიკა.

კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ისტორიული წყაროები პირველად სისტემურად არის შეჯერებული ეთნოგრაფიულ საველე მასალასთან, რაც შესაძლებელს ხდის ფაცაში ქართველი მუჰაჯირების განსახლებისა და ადაპტაციის პროცესის უფრო სრულყოფილ რეკონსტრუქციას და მიგრაციული გამოცდილების ახალი პერსპექტივით წარმოჩენას.

მეთოდოლოგია: კვლევა ეფუძნება თვისებრივ კვლევის მეთოდოლოგიას და აერთიანებს ისტორიული და ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდებს. ძირითადი ემპირიული მასალა მოპოვებულია თურქეთის ორდუს პროვინციის ფაცას რაიონში ჩატარებული ეთნოგრაფიული საველე კვლევის ფარგლებში. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო ნახევრადსტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები ქართველი მუჰაჯირების შთამომავლებთან, ზეპირი ისტორიის მეთოდი, მონაწილე დაკვირვება და კულტურული მეხსიერების ანალიზი. ეთნოგრაფიული მონაცემები შეჯერებულია ოსმალურ საარქივო დოკუმენტებთან, ბრიტანეთისა და საფრანგეთის საკონსულოების ანგარიშებთან და თანამედროვე ისტორიოგრაფიულ ლიტერატურასთან. წყაროთა ურთიერთშედარებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე განხორციელდა მუჰაჯირთა განსახლების პროცესისა და ფაცაში მათი ადაპტაციის ისტორიული რეკონსტრუქცია.

მსჯელობა: მუჰაჯირობის პერიოდში მოსახლეობის ყველაზე დიდი რაოდენობა ქობულეთიდან (ჩურუქ-სუ) გადასახლდა. დღევანდელ თურქეთში ქობულეთიდან წასულ მუჰაჯირთა შთამომავლებს შეხვდებით როგორც ეგეოსის ზღვის პირას არსებულ ქართულ დასახლებებში, ისე ცენტრალურ შავი ზღვისპირეთში. თუმცა, თურქეთ-საქართველოს საზღვრის გახსნისა და თანამედროვე კვლევების გაჩენის პირობებში, დადგინდა, რომ ქობულეთელ მუჰაჯირთა უმეტესი ნაწილი დასახლებულა ცენტრალური შავიზღვისპირეთის, კერძოდ, ორდუ, ფაცა, უნიე, სამსუნის მიდამოებში, სადაც შეუქმნიათ კომპაქტური დასახლებები და შემდგომ გამრავლებულან მიმდებარე ტერიტორიებზე.

იქედან გამომდინარე, რომ ფაცაში ტრანსპორტირებისა და ზოგად მათ ბედზე ქართულ წერილობით წყაროებში არაფერია ნათქვამი, ძირითადი ისტორიული წყარო მიგრანტთა შთამომავლების კულტურული მეხსიერებაა, რომელიც წლების განმავლობაში თაობიდან თაობაზე გადაეცემოდა.

ფაცაში მცხოვრები ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მეოთხე-მეხუთე თაობას მათი წინაპრების აქ მოსვლასთან დაკავშირებით ზეპირი გადმოცემები ახსოვთ. ყველა მთხრობელი მათი წინაპრების მოსვლის დროდ 1877-1878 წლების („93 წლის ჰარბის“ - ისლამური კალენდრით) ომის შემდგომ პერიოდს ასახელებენ. „ჩვენ მუსლიმანები ვართ, დედეები მუსლიმანები იყვენ, იქანაი არიყო მასე და წამოსულან, გამოქცეულან. მშიერი მომკტარან გზაში, ბევრი მომკტარა, იქიდან ფეხით რამდენს წამოხვალ, ხარის არაბაი იყო, ცხენების, ვირების. თლათ შიერი ყოფილან... თქვეს რომ იქ ყველაფერი არის, მიწა, სახლი, ჯენეთივით, ამბობდენ. მაგრამ პირველი რეისი რომ წამოვ-დენ და ნახენ რომ არც მიწაა, არც სახლი და არც კაი ცხოვრება, არაფერი არაა. აქიდან ნელნელა ინფორმაცია მივიდა იქ რომ აქ არაფერი არაა და ხალხი აღარ მოდიოდა აქა. ხოჯაც ეხვეწებოდა ხალხს ჯენნეთში მოხდებიო, მარა ახალხი არმოდიოდა, მერე ბევრი ძალით ჩეიყვანეს ბათუმის სადგურში“.

მუჰაჯირების ქალაქ ორდუსა და მიმდებარე რაიონებში, ფაცასა და უნიეში, ჩასვლა სრულიად შემთხვევითი მოვლენაა. ერთ-ერთმა მთხრობელმა გვარად გოლომანიძემ, რომლის წინაპარიც, სავარუდოდ, სოფელ ბობოყვათიდან უნდა წამოსულიყო, გაიხსენა ფაცაში მისი დედეების (ბაბუ-ბის) დასახლების ისტორია: „მაგაზე დაზუსტებული არ არის არაფერი, იქიდან ბათუმიდან გემები დადიოდა ბურსაში. ამბობენ, რომ გემი აქ ფაცაის ახლოს გაფუჭდა რაღაცა და ხალხი ჩამეიყვანეს იქა. აქედან არის 8 კილომეტრი ბოლომანი, იქ დატოვეს მინდორზე ხალხი. არის მეორე ვარიანტი, ამბობენ, რომ იმ ხალხმა იმდენმა წამოვდენ იქიდან, საჭმელი არ ხონდენ რამე და ის კაპიტანი დეიჭირეს და გემით აქ გამოვდენ, არ წევდენ იქით. არ ვიცით რომელია სწორი ვარიანტი. ჯერ პირ-ველად რომ წამოვდა ხალხი, დასახლდა, მერე ვიღაცა ნათესავი, ბიძაშვილი ტაიაშვილი ჩამოვდენ ფეხით. სულ პირველი გემებით ჩამოვდენ“.

აჰმედ ბეჟიოღლუ (ბეჟანიძე), რომელიც ქართულის კარგი მცოდნე და ფაცას გამოჩენილი პიროვნებაა, მისი წინაპრების მოსვლის შესახებ საინტერესო და ემოციურ ამბავს მიყვება:

იქა ახლა იმ დროზე თქვენ მუსლიმანი ვიყავით, მუსლიმანის ადგილზე რომ არ მოკტები, მაშვინ სამოთხეზე ვერ შეხვალო, იქა წედითო, ასე თქვეს. მერე ჩვენებმა თქვეს, რომ წევდეთ უნდაო. პირველად წევდენ სასაფლაოში, ბაბაი, ნენეი, დედეი იგინი იყო იქა. იტირენ, თურქეთს წევდეთ უნდა, უკან ვერ შემოხვიდე უნდაო. მემრე კარები დაკილტენ, იქიდან ლოგინი რაცხაები იგი ქნეს ხელში. ცხვრები, მოზვები რაცხაები, კარები გააღეს, გუშვეს. მერე ბათომის პორტზე ჩამოვდენ. აჭარლები და აფხაზები გემებით თურმე იქიდან მოსულან თურქეთში. მემრე ჩვენებმაც იქა წევდენ. ბათუმიდან გემში ჩაჯდენ, იგინმა გემები არ იცოდენ, დაჭვირთეს გემი და აქა მოსლიხან თქვეს რომ თქვენ იქა სახლი გქვონდოს და მიწას მოგცემთო...

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო კვლევას გვთავაზობს თურქეთში მოღვაწე, წარმოშობით ქართველი ისტორიკოსი ოქტაი იოზელი (ქათამაძე) თავის ნაშრომში „მიგრაცია და ძალაუფლების პოლიტიკა: ქართველი ემიგრანტების დასახლება თურქეთში (1878–1908)“ (Özel, გვ. 2010).

ოსმალეთის ადმინისტრაციას გეგმა ჰქონდა, ეს მიგრანტები ადაფაზარსა და ბურსას შორის ტერიტორიაზე დაესახლებინათ. თუმცა, ადგილობრივების თქმით, რთული საზღვაო მოგზაურობის დროს გადასახლების ორგანიზატორი, ქობულეთელი ალი ფაშა თავდგირიძე ავად გამხდარა. როდესაც კოლონის სამმა გემმა ორდუს სანაპიროებს მიაღწია, მიგრანტებმა კაპიტნებს დაემუქრნენ და ორდუში გადმოსვლა და დასახლება მოითხოვეს. ეს მოთხოვნა სტამბოლში გადაიგზავნა. საბო-ლოოდ, დაახლოებით სამ დღიანი მოლაპარაკებების შემდეგ, მიგრანტ ოჯახებს ორდუში გადმოსვ-ლის ნებართვა მიეცათ. ამრიგად, ისტორიის თანახმად, მათი რეგიონში ჩამოსვლა ოსმალეთის მთავრობის თავდაპირველი გეგმის შედეგი არ ყოფილა. ეს სრულიად შემთხვევითი იყო (Özel, გვ. 2010 p. 478).

იოზელი მიგრაციის ფაქტობრივი პროცესის შესახებ საარქივო მასალებს ეყრდნობა. ბრიტანეთის საკონსულოს ანგარიშების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბურსასკენ მიმავალი ასობით მუჰაჯირი ოჯახის გადამყვანი გემები გზად მგზავრებმა მართლაც გააჩერეს და საბოლოოდ ორდუში ჩავიდნენ. აღნიშნული ჩანაწერი 1879 წლითაა დათარიღებული. იმავე წლის საფრანგეთის საკონსულოს ანგარიში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ ორდუში ჩასულებს შორის, ჩვეულებრივ იმიგრანტ ოჯახებთან ერთად, არსებობდნენ ბათუმ-ჩურუქსუს რეგიონის მდიდარი და გამოჩენილი ფიგურებიც (Özel, 2010 , გვ. p. 478).

ინფორმანტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ მათი წინაპარი არა გემით, არამედ ხმელეთით მოსულა. მაგალითად, ჩემი ერთ-ერთი მთხრობელის, ზათი ინაიშვილის დიდი ბაბუა ფაცაში ასე ჩავიდა - „აი გაგონილი არ გექნება ახლა რაც უნდ გითხრა, სეიდ აღა ინაიშვილი წამოსლიხან ორი ცხენით წამოსულა, ცხენის ნალი უკუღმა დუუჭედია, კვალი ასე მია, ცხენი ისე მია, არ დეგვიჭირონო და გამოსულა (ეძებდა მილიციაო). წამოიღო იქიდან საჭმელი-სასმელი, რაც დიეტია ცხენზე და ერი ცხენი დაჭვირთული ოქრო. ფერშემბეს იქანაი გაჩერებულან, მერმე ბიჭები ყოლია თან, ჩემი ბაბუაის მამა 15 წლის ყოფილა რომ წამოსულან, იქიდან თურმე აქა მთავრობაში გახდენ, საქმე დეიწყეს მთავრობაში. ფაცაიდან ჩვენს სოფელში კარატაშში მიწა იყიდა, დაქორწილდა და აქა დასახლდა“.

მიგრაციის პირველი ორი წლის განმავლობაში, 1879-დან 1881 წლამდე, დაახლოებით 6000 ქართული ოჯახი (დაახლოებით 30-40 000 ადამიანი) ტრაპიზონის გუბერნიის პორტებში გადავიდა. მათგან დაახლოებით 4500 ოჯახი ორდუს, ფაცას და უნიეს რაიონებში (კაზა) ჩავიდა. ამ ოჯახიდან ორი ათასი მხოლოდ ორდუს რაიონში დასახლდა. შვიდი თვის შემდეგ, 1882 წლის თებერვალში, თავად ჩურუქსუელი ალი ფაშას მონაცემებით, რომელიც იმ დროისთვის რეგიონში მიგრანტების განსახლების პასუხისმგებელ პირად იყო დანიშნული, ზღვით მისული ქართველების საერთო რაოდენობა დაახლოებით 80 000 იყო. ხმელეთით ჩასული ადამიანების რაოდენობა კი დაახლოებით 40 000 (Özel, 2010 , pp. 478-479).

1881 წლის შემდგომ, რუსეთის-ოსმალეთს შორის დადებული ხელშეკრულება კიდევ 2 წლით გახანგრძლივდა. იოზელი ვარაუდობს, რომ მიგრაციის მეორე ტალღა 1883-84 წლებში მიმდინარეობდა, თუმცა, უფრო მცირე მასშტაბით. თუ ის ცნობები, რომლებიც დაკავშირებულია მუჰაჯირთა რაოდენობასთან, გაზვიადებული არ არის, მაშინ ნამდვილად შეიძლება, რომ ბერლინის ხელშეკრულების შემდეგ ხუთწლიან პერიოდში ოსმალეთის ტერიტორიებზე მინიმუმ 150 000 ქართველი გადასულიყო. მუჰაჯირთა უმეტესობა დასავლეთით მდებარე რეგიონებისკენ იყო მიმართული, როგორიცაა სამსუნი (მათ შორის თერმეს, ჩარშამბას და ბაფრას რაიონები), სინოპი, ქოჯაელი, ადაფაზარი, ინეგოლი და ბურსა, ხოლო რამდენიმე მცირე ჯგუფი შავი ზღვის რეგიონის შიდა ნაწილშიც, ისეთ რაიონებში დასახლდა, როგორიცაა სივასი, ტოკათი და ამასია (Özel, 2010 , pp. 478-479).

ზოგადად, თურქეთში მაჰმადიანი მიგრანტების დასახლების საკითხი საკმაოდ საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, თუ რა პოლიტიკას ატარებდა პორტა მიგრანტების ადაპტაციისთვის. 1960-იანი წლებიდან დაიწყო სხვადასხვა ინსტიტუციებისა და კომისიების შექმნა, რომლებიც მუშაობდნენ ბალკანეთიდან და კავკასიიდან ჩასულ მიგრანტთა დასახლებასა მათი ადგილობრივებთან ინტეგრირების უზრუნველყოფაზე.

რუსეთ-ოსმალეთის ომისა და ახალი მიგრაციული ტალღის საფუძველზე მიგრანტთა დახმარების კომისიის ფარგლებში მუჰაჯირებისთის რამდენიმე ახალი დაწესებულება დაარსდა. 1877-1878 წლების შემდგომ ამგვარი ინსტიტუტების ზრდა მხოლოდ მიგრანტთა რაოდენობასთან არ იყო დაკავშირებული, არამედ ეს იყო ერთგვარი მაკროპოლიტიკა, რაც განპირობებული იყო, იმპერიის დემოგრაფიულიი, ეკონომიკური, პოლიტიკური და განსაკუთრებით იდეოლოგიური ტრანსფორმაციით. სახელმწიფო დონეზე ისლამიზმი და ინტელექტუალურ (ძირითადად სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ინტელექტუალების მიერ წარმოებული) თურქიზმი ორ ახალ პოლიტიკურ

იდეოლოგიას წარმოადგენდა. აბდულჰამიდ II-მ ქარიზმატული ტიტულით - „ხალიფატი“ შეიმუშავა ახალი მაკროპოლიტიკური პროექტები, რომლებშიც მიგრაციის კომისიებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. აღსანიშნავია, რომ სულთანი აბდულჰამიდ II თავად იყო ინსტიტუციონალიზაციის საქმიანობის ცენტრში. მის მიერ დაარსდა და ხელმძღვანელობდა სამ კომისიას: მიგრაციის გენერალური კომისია, მუსლიმი მიგრანტების კომისია და მიგრანტების უმაღლესი საბჭო. მეოთხე კომისია - მიგრანტთა გენერალური ადმინისტრაციის კომისია - ტექნიკურ ასპექტებზე იყო პასუხისმგებელი (Dündar, 2018, p. 174).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუციური გამოვლენებაა ამგვარ კომისიებში თავად მიგრანტების ან მათი ცნობილი ფიგურების ჩართვა, რომლებსაც მუჰაჯირთა მსგავსი ეთნიკური ან რელიგიური წარმომავლობა ჰქონდათ. ამის ყველაზე კარგი მაგალითია ჩურუქსუელი ალი-ფაშა თავდგირიძე, რომელიც დანიშნული იყო „დასახლების საპატიო ოფიცრად“ სპეციალურად ქართველი მუჰაჯირების დასასახლებლად (Dündar, 2018, გვ. 174).

იმიგრანტი საზოგადოების ლიდერებისა და ფიგურების, მაგალითად, ქართველების, კომისიებში ჩართვის ეს მეთოდი მუჰაჯირთა ახალ მუსლიმურ საზოგადოებაში ადაპტაციის ხელშემწყობად მიიჩნეოდა. ეს სტრატეგია მიზნად ისახავდა უფრო ძლიერი კავშირების დამყარებას და ადგილობრივ პირობებთან სრულ ინტეგრაციას (Dündar, 2018, გვ. 174).

აჰმედ ბეჟანიძე იხსენებს წინაპრების მოყოლილს და ადასტურებს, რომ მიწის განაწილება და მოსახლეობის დასახლება ფაცაში ალი ფაშა თავდგირიძის თაოსნობით მომხდარა. „თავდგირიძე ალიფაშამ მოვდა კაბაკდაღზე, აქა ბეჟანიძნები იყვენ, აქა მახარაძე იყო, აქა გოლომანიძე - აქა 30, აქა 20, ასე გაანაწილა. სუნთელ ხალხს მიწა მისცა თითოს 11 ჰექტარი სულ დაარიგა. იმ ადგილებზე ჩვენებმა სახლები გააკეთეს“. დაახლოებით იგივეს მიყვება ჰუსეინ იუგუნ (მოწყობილიც):

აქ მოვდენ რამე არ დახდენ. ჩვენები ფაცას პირველი რეისი რომ ჩამოვდა გემიდან, დასვეს იქ მინდორზე. არაფერი, ერთი დღე გავიდა, ორი დღე გავიდა. ხალხს მოშივდენ, რა ექნენ. მივდა მეიპარა, ქათამი მეიპარა, ცხვარი მეიპარა და მაშინ პრობლემა გახდა, მთავრობაში წევდა ამბავი და აქ ვინც იყო უფროსი ხალხი იმას დაავალეს, რომ ეს ხალხი დაასახლე, მიწა მიეცი და ახლანდელი კაბაკდაღი იქიდან რომ დეიწყება, დიდი, იგი ალი ფაშამ მისცა ქართველებს. ალი ფაშა აქაური ჰაზნედაროღლი, იგიც ქართველია მარა ძაან ადრე წამოსული ოჯახია, იმან დაასახლა მიცა მიწა. ერთ ოჯახს მისცა 10 დონუმი.[1] დაახლოებით 2 დონუმი ჰექტარი ტყე და დანარჩენი ყანა, მარა ყანა კი არ იყო, ტყე და იგი გასაჭარი, ხალხმა გაჭრა. ხალხმა დათესა, მერე დეიწყო მუშაობა და წვალება, ამდენი წვალება. მერე გამრავლდენ აღარ ეყონ მიწა და სხვა სოფლებში წევდენ. პირველი იყო კაბაკდაღი. აი რომ დეიწყო, გემი რომ გაფუჭდა, მერე კიდე ჩამოვდენ იქიდან, საქართველოდან და დასახლდენ სხვა სოფლებში.

ქართველი მუჰაჯირების ჩასვლამ ფაცაში მუსლიმი გლეხობის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. ადგილობრივი მოსახლეობა არ იყო მომზადებული მოულოდნელი სტუმრების ასეთი დიდი რაოდენობით ჩასვლისთვის. ოსმალეთის მთავრობის რეგულაციისა და ჩვეულებრივი პრაქტიკის თანახმად, მუჰაჯირებს ადგილობრივი მუსლიმი გლეხები უნდა დახვედროდნენ. ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ ამ ხალხის დროებით დასახლებაზე და მიწებზე. ყოველ შემთხვევაში, ქაღალდზე მაინც. ისინი ვალდებულნი იყვნენ ახალმოსულების თავშესაფრითა და საკვებით უზრუნველყოფა, სანამ თითოეულ ოჯახს მიწის ნაკვეთს არ მისცემდნენ დასასახლებლად (Özel, 2010 , გვ. 479-480). ადგილობრივი მუსლიმი გლეხების დიდ ნაწილს მცირე მიწები ჰქონდა საარსებოდ, ხოლო დანარჩენები, მათ შორის ქრისტიანი გლეხების უმეტესობა, ადგილობრივი წარჩინებული აღა-ბეგების ოჯახების საკუთრებაში არსებულ მიწებზე იყვნენ დასაქმებულნი, რომლე-

[1] 1 დონუმი - 1000 კვ.მ.

ბიც რეგიონში შეუზღუდავ ძალაუფლებას ფლობდნენ. შესაბამისად ქართველებისთის მიწის მიცემა და რჩენა ისედაც ღატაკი ადგილობროვებისთვის ძალიან რთული იყო.

ფაცაში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად მუსლიმები იყვნენ, ქრისტიანი (ბერძნული და სომხური) უმცირესობებით. ამ რაიონების ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობა, სამ ძირითად ჯგუფად იყო დაყოფილი: მიწის მსხვილი მესაკუთრები, ქალაქის სავაჭრო ბურჟუაზია და გლეხები. ასევე უნდა აღინიშნოს ჩერქეზი მუჰაჯირები, რომლებიც რეგიონის დასავლეთ რაიონებში (ჯანიქის ქვეპროვინციის უნიეს, თერმეს, ჩარშამბას რაიონები) 1860-იანი წლებიდან იმყოფებოდნენ და სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ როგორც ადგილობრივ გლეხობას, ასევე სოფლის წარჩინებულ ოჯახებს. ასეთი რთული სოციალური პირობების ფონზე ადგილობრივები ძლივს ახერხებდნენ საკუთარი თავის გამოკვებას. რაც შეეხება ქართველ მუჰაჯირებს, მათი მდგომარეობა კიდევ უფრო რთული იყო. ბოსტნეულისა და კულტურების საარსებო რაოდენობის მოსაყვანად საკმარისი მიწა არ ჰქონდათ, მათ უმეტესობას არც სათანადო თავშესაფარი გააჩნდა. ფული მხოლოდ საკვების, ან საჭირო საქონლის შესაძენად ჰქონდათ. მიგრაციის პირველი ტალღის დროს მიგრანტთა მხოლოდ მცირე ნაწილს მიეცა მიწები. მაგალითად, ფაცაში 1879 წელს ჩასული მუჰაჯირების 1/3 ერთი წლის შემდეგაც უმიწო და უსახლკარო იყო, ხოლო დანარჩენები გაჭირვებით დასახლდნენ ათ სოფელში, სადაც მიწის ძალიან პატარა ნაკვეთები ადგილობრივი გლეხების საკუთრებაში იყო (Özel, 2010 , გვ. 479-480).

პირველი დასახლება, სადაც ქართველები მივიდნენ დღევანდელი სოფელ კაბაკდაღის ცენტრია, იგივე ზეგანი. ეს იყო უზარმაზარი ხელუხლებელი, ტყით დაფარული ტერიტორია. აქაური გარემო პირობები გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ზღვისპირეთი, სადაც მრავლად იყო ჭაობი და მწერები. გარდა ამისა, ამ ტერიტორიაზე ბერძნების და სომხების დასახლებებიც არ არსებობდა. როგორც მთხრობელები ყვებიან, წინაპრებმა ადგილის შერჩევის შემდეგ პირველ რიგში მეჩეთისა და სასაფლაოს ადგილი გაითვალისწინეს და დაადგინეს წესი, რომ საცხოვრებლად შერჩეულ ამ ადგილს არავინ მიახლოვებოდა. ეს წესი მოქმედებდა 143 წლის განმავლობაში. პირველი ჯგუფი, რომელიც ზეგანში მივიდა 80 კომლისგან შედგებოდა. მოგვიანებით, ზოგიერთი იმ ადგილას ავიდა, სადაც დღევანდელი ჰასანჯიქის სოფელი მდებარეობს.

ეთნოგრაფიული მასალებიდან ცხადი ხდება, რომ მათ აირჩიეს ისეთი ტერიტორია, რომელიც სამშობლოდ მიიჩნიეს. ეს იყო, ღია, თავისუფალი, ხელუხლებელი ტერიტორია, ზღვასთან ახლოს. აჰმეთ ბეჟანიძეს, რომელიც იმყოფებოდა საზღვრის გახსნის შემდეგ ქობულეთში და უნახავს იქაური გარემო, ვკითხე - თქვენი აზრით, დედეებმა მართლა მიამსგავსეს აქაურობა ჩურუქსუს? -მან კი ჩემდა გასაოცარი პასუხი მომიგო: „თუ ფაცას შევადარებთ ქობულეთს, მაშინ ასე ვთქვათ, თუ კონაკბაშიდან გადიხედავ დეინახავ ილიჯის მდინარეს და ზღვას. თუ ქობულეთის სოფელ გვარაში ახვალ და ქვემოთ გაიხედავ, დეინახავ კინტრის მდინარე და ზღვას. კვირიკეს სოფელი ქვემოთ, მდინარის პირას მდებარეობს, ის ზავოს დასახლებას ჰგავს. ეს არის ფაცას და ქობულეთის მსგავსება“. 78 წლის ერდოღან მესხიძემ კი, რომელიც არასდროს ყოფილა საქართველოში და მხოლოდ მამის მოყოლილი ახსოვს, მითხრა: „იქიდან მოსულები იქა რომე ადგილებია, აქაც იმფერ ადგილებზე დარჩენილან. მოსულან ადგილი აგი ჩემიაო, შამუღობიან, მის სახლთან, ერთმანეთთან ახლოს არ არის. შორ-შორ არიან. ახლა რომ გავბევრდით ახლოს დავრჩით ადრე შორ-შორ იყვენ... მინდა გამოსლა, დევნახო ჩემი სოფელი, მემგონია ამფერი იქნება“.

უნდა აღიშნოს, რომ მუჰაჯირთა სრულად დასახლებამდე და მის შემდგომაც გარკვეული პერიოდი ქართველებსა და თურქებს შორის დაძაბული ვითარება იყო. უსახლკარო და ყოველგვარი საარსებო პირობების გარეშე ქართველი მუჰაჯირები იძულებულნი იყვნენ მოპარვითა და გამოძალვით ერჩინათ თავი. ამას ამძაფრებდა ისიც, რომ ქართველების უმეტესობა შეიარაღებული იყო. მათ თან წამოღებული ჰქონდათ თოფები, ძირითადად მარტინი, რომლებიც მათ შეინახეს იმ დროიდან,

როდესაც ისინი საქართველოში ადგილობრივ მილიციაში იყვნენ და რუსეთის იმპერიის წინააღმ-დეგ იბრძოდნენ. მუჰაჯირები, ბუნებით მკაცრნი, ცნობილნი იყვნენ თავიანთ მშობლიურ ქვეყანაში, ჩურუქსუში, ცეცხლსასროლი იარაღის სიყვარულით (ჭიჭინაძე, 1917, გვ. 121-122). ეს ცეცხლსასრო-ლი იარაღი მალევე აღმოჩნდა მათი გადარჩენისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ისეთ მკაცრ პირობებში.

ქართველ მუჰაჯირთა ხელწერად იქცა ყაჩაღობაც. ის ძირითადად გავრცელებული იყო იქ, სა-დაც ქართველი მუჰაჯირები იყვნენ დასახლებულნი. ქართული ბანდების მიერ განხორციელებული ძარცვის უშუალო შედეგი იყო რეგიონში არსებულ თემებს შორის დაძაბულობის გაჩენა. ასეთი შემთხვევების ზრდასთან ერთად, დაძაბული საზოგადოებრივი ურთიერთობები თანდათან სიძულ-ვილში გადაიზარდა ქართველებსა და ადგილობრივ თემებს შორის. ზათი ინაიშვილი მიყვება: „თურქებთან ჩხუბობდენ. აქედან ბევრი წასულია იქიდან მეგობრები მეიყვანეს, თურქები აქანე ვერ გვიტანებენო და ამისთვის, ერთი ამბავი იყო. მერე აქა ჩვენებურებს მოპარვა, გალახვა, ქალ-ბაღა-ნაზე პაწაი ამბები აქვან. ამის გამო დიდი ხანი თურქებმა ჩვენ ვერ შეგვიყვარა, ადრინდელი ამბები არ დაავიწყდენ. რომ მოგვპარენ, ქალი-ბაღანაი წაგვართვესო, ამიზა გაკუჭებულები იყვენ“. ურთი-ერთსიძულვილიდან წარმოიშვა ის, რასაც ოსმალეთის ხელისუფლება „ქართულ პრობლემას“ (Özel, 2010 , გვ. 481) უწოდებდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი პოლიტიკურ არასტაბილურობას და დაუცველობის ზრდას არა მხოლოდ ორდუს რეგიონში, არამედ მთელ ტრაპიზონის გუბერნიაში.

ამ პრობლემის კიდევ ერთი შედეგი იყო ადგილობრივი არამუსლიმების, ძირითადად გლეხე-ბის, მასობრივი მიგრაცია არასტაბილური სოფლებიდან, ძირითადად კავკასიაში, რომელიც იმ დროს რუსეთის ადმინისტრაციის ქვეშ იყო. საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მუჰაჯირებ-თან დაკავშირებული ყაჩაღობა არ იყო ამ მიგრაციის ერთადერთი მიზეზი. მთელ შავი ზღვის რეგიონში რუსეთის საელჩოები და მათი აგენტები აქტიურად აქეზებდნენ სომხებსა და ბერძნებს, გადასულიყვნენ რუსეთის ტერიტორიაზე, რათა ჩაენაცვლებინათ წასული მუსლიმი ქართველები და ხელახლა დაესახლებინათ ომის შემდეგ ცარიელი მიწები. რა რეალური მიზეზებიც არ უნდა ყოფილიყო მათი წასვლის, ბევრი არამუსლიმი, რომლებმაც დატოვეს თავისი სოფელი და დათმეს მიწები ორდუს, გირესუნისა და სამსუნის რეგიონებში, თავს ქართველ მუჰაჯირთა ყაჩაღობის მსხვერპლად წარმოაჩენდა და მიუთითებდა, რომ რეგიონის დატოვების თითქმის ერთადერთი მიზეზი ქართველების მიერ მათი შევიწროება იყო (Özel, 2010 , გვ. 481). აჰმედ ბეჟანიძის თქმით, ქართველების და თურქების დაპირისპირება ხშირად მკვლელობამდეც მიდიოდა. „ჩვენ რომ მოვეით აქა ბეგები იყვენ. მოდითო ყანის მუშაზეო, გოლომანიძე ხუსტაღმა (დიდი კაცი იყო კაბაკდაღზე) ჩვენო თქვენ ადგილზე არ ვიმუშავებთო. მემრე ერი ქართველი მოკლეს ბეგებმა, მემრე ქართვე-ლებმა 2 თურქი მოკლეს. არ წევდა, ჩვენ მასე არ ვართო, და თურქებმა ვითომ შააშინეს ქართველები და იმ ღამეს მერე 6 კაცი მოკლეს ჩვენებმა. მიახტინეს, რომ ჩვენ ჩერქეზებს არ ვგავართო. იქიდან მოსულებს იარაღი რუსის ფიშტო ხონდენ წელზე. ვერ შაგვაშინეს ჩვენ. ჩერქეზებმა მოვდენ ჩვენებამდე 30 წლის წინ და თურქებმა შეაშინეს და გეიქცენ აქიდან, ქართველები ვერ შეაშინეს“.

თანაცხოვრებიდან წარმოშობილი პრობლემები, რომლებიც თავდაპირველად გადარჩენისთ-ვის ბრძოლისა და არასაკმარისი პირობებით იყო გამოწვეული, სწრაფად გამწვავდა, რამაც საზო-გადოებრივი არეულობა და ეთნიკური სიზიზღი გააღვივა. როგორც ოზელი აღნიშნავს, შექმნილი მძიმე პრობლემა ალი ფაშას პოლიტიკური ამბიციებით იყო განპირობებული. აღნიშნული დაპირის-პირება სხვადასხვა ფორმით, ძალაუფლებისთვის ბრძოლით, ადგილობრივი კონფლიქტებითა და ძალადობრივი ინციდენტებით 1880-იანი წლების დასაწყისიდან XX საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა.

დასკვნა: წარმოდგენილი კვლევა ცხადყოფს, რომ ქართველი მუჰაჯირების ფაცაში დასახლე-ბისა და ადაპტაციის პროცესი მრავალმხრივი და წინააღმდეგობრივი იყო. მიუხედავად იმისა, რომ

ოსმალეთის ხელისუფლება მიგრანტთა განსახლების ინსტიტუციურ მართვას ცდილობდა, მათი მასობრივი ჩასვლა ადგილობრივ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოს სერიოზულ გამოწვევებს უქმნიდა. მიწის სიმცირემ, სიღარიბემ, არასაკმარისმა საცხოვრებელმა პირობებმა და რესურსებზე კონკურენციამ ქართველ მუჰაჯირებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დაძაბულობა წარმოშვა, რაც დროთა განმავლობაში ძალადობრივ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ოსმალეთის ადმინისტრაციის მიერ „ქართულ პრობლემად" მოხსენიებული ვითარება მხოლოდ ქართველი მუჰაჯირების ქმედებებით არ იყო განპირობებული. არსებული კონფლიქტები უნდა განიხილებოდეს ფართო სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში, სადაც ერთმანეთს ემატებოდა მიგრაციის მძიმე პირობები, რესურსების სიმწირე, ადგილობრივი ძალაუფლებისთვის ბრძოლა, ოსმალეთის განსახლების პოლიტიკა და რუსეთის იმპერიის ინტერესებიც. შესაბამისად, რეგიონიდან არამუსლიმი მოსახლეობის მიგრაციაც მხოლოდ ქართველ მუჰაჯირთა მოქმედებებით ვერ აიხსნება.

ეთნოგრაფიული მასალებისა და ისტორიული წყაროების ურთიერთშედარებამ შესაძლებელი გახადა იმ მოვლენების რეკონსტრუქცია, რომლებიც ქართულ წერილობით წყაროებში ფრაგმენტულად ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი. ზეპირი ისტორიები, კულტურული მეხსიერება და საარქივო დოკუმენტები ერთმანეთის შევსებით უფრო სრულ სურათს ქმნის ქართველი მუჰაჯირების ფაცაში დასახლების, ადაპტაციისა და ადგილობრივ საზოგადოებასთან ურთიერთობის შესახებ. ამგვარად, კვლევა არა მხოლოდ ავსებს ქართველი მუჰაჯირების ისტორიის ნაკლებად შესწავლილ ეპიზოდებს, არამედ წარმოაჩენს კულტურული მეხსიერების მნიშვნელობას მიგრაციული პროცესების ისტორიული რეკონსტრუქციისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

Özel, O. (2010 , July). Migration and Power Politics: The Settlement of Georgian Immigrants in Turkey (1878–1908). *Middle Eastern Studies, 47*(4), 477-496. DOI: 10.1080/00263206.2010.492984

Dündar, F. (2018). How Migration Institutions "Think"? The Ottoman-Turkish Case. *Anatoli, 9*(9), 165-189. DOI: 10.4000/anatoli.731

ჭიჭინაძე, ზ. (1917). *ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში.* ტფილისი: სტამბა ნ. გ. აღანიანცისა.